ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7312534

ნომერი: AR11068530

თარიღი : 03.12.2024

გაცემის თარიღი : 10.12.2024

გაცნობის თარიღი : 11.12.2024

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა, N 43ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ბასიაშვილი პ/ნ 01019005422
- თბილისი, კ.ილურიძის ქ. #50

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 3 დეკემბერს №AR11068530 განცხადებით მომართა დავით ბასიაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2024 წლის 19 სექტემბრის №7221661 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახური, 2024 წლის 19 სექტემბრის №7221661 გადაწყვეტილებით, დაეთანხმა ქ. თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა №43ა-ში არსებულ №01.13.03.010.200 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობის პანდუსზე სარეკლამო ბრის მოწყობის შესაძლებლობას.
წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს 2024 წლის 19 სექტემბრის №7221661 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანას, კერძოდ გადაწყვეტილების სატიტულო ინფორმაციაში, დამკვეთი-განმცხადებლის ველში დავით ბასიაშვილის (პ/ნ: 01019005422) ნაცვლად შპს „MDM Group“-ის (ს/ნ: 400070203) დაფიქსირებას.
საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, შენობა-ნაგებობები ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის, გარემოს დაცვის, აგრეთვე მშენებლობის ნებართვის გაცემისა და ექსპლუატაციაში მიღების თვალსაზრისით იყოფა 5 კლასად. I კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობა ექვემდებარება მშენებლობის მარტივ შეტყობინებას, II-IV კლასის შენობა-ნაგებობების მშენებლობა ექვემდებარება მშენებლობის ნებართვის მიღების ვალდებულებას.
ზემოაღნიშნული კოდექსის 101-ე მუხლის მიხედვით, მშენებლობის ნებართვა გაიცემა ორ სტადიად, გარდა ამ კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა (სამსტადიიანი წარმოება): ა) I სტადია – მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება და ბ) II სტადია – მშენებლობის ნებართვის გაცემა. ამავე კოდექსის მიხედვით, მშენებლობის ნებართვის გაცემის ბოლო სტადიაზე მშენებლობის ნებართვის მაძიებელი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთის ან მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის ან მისი ნაწილის მესაკუთრე, მოსარგებლე ან მის/მათ მიერ უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლო განვითარების ინტერესი. შესაბამისად, მშენებლობის ნებართვის მაძიებელი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი პირი ფიქსირდება მშენებლობის ნებართვის გაცემის ბოლო სტადიაზე II-IV კლასის შენობა-ნაგებობების სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შემთხვევაში.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, განგიმარტავთ, რომ სამსახურის 2024 წლის 19 სექტემბრის №7221661 გადაწყვეტილება წარმოადგენს სამსახურის წერილობით თანხმობას I კლასის სამშენებლო სამუშაოების განხორციელების თაობაზე და გადაწყვეტილების სატიტულო ინფორმაციაში დაფიქსირებული დამკვეთი-განმცხადებელი არის ინფორმაციული ხასიათის ჩანაწერი. შესაბამისად, იგი არ საჭიროებს ცვლილების შეტანას.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2024 წლის 19 სექტემბრის №7221661 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
წინამდებარე გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში